57

ადგილობრივი biujetebi აპრილი - #4 2009

ადგილობრივი თვითმმარ-
თველი ერთეულის biujeti,
როგორც კანონშია ჩამოყალი-
ბებული, არის ადგილობრივი
თვითმმართველობის ორგანოთა
შემოსულობების, აგრეთვე, მა-
თი ფუნქციებისა და ვალდებუ-
ლებების შესრულების მიზნით
გასაწევი გადასახდელების და
naSTis ცვლილების ერთობლი-
ობა, რომელიც დამტკიცებულია
ადგილობრივი თვითმმართველო-
ბის წარმომადგენლობითი ორგა-
ნოს (საკრებულოს) მიერ.
ადგილობრივი თვითმმართვე-
ლი ერთეულების ურთიერთობა
ქვეყნის sabiujeto სისტემაში
შემავალ სხვა ბიუჯეტებთან უზ-
რუნველყოფილია ერთიანი სა-
მართლებრივი ბაზით, ერთიანი
sabiujeto კლასიფიკაციის გა-
მოყენებით, ასევე ერთიანი საგა-
დასახადო და საფინანსო-საბიუ-
jeto politikiT.
ყველა ადგილობრივ თვითმ-
მართველ ერთეულს საკუთარი
დამოუკიდებელი biujeti გა-
აჩნია. მათი დამოუკიდებლობა
sabiujeto საქმიანობაში გა-
რანტირებულია: კანონით გან-
საზღვრული საკუთარი შემო-
სულობებით და eqskluziuri
უფლებამოსილებათა განხორცი-
ელებისთვის გადასახდელების
გაწევის დამოუკიდებლად გან-
საზღვრით, აგრეთვე, დელეგირე-
ბულ უფლებამოსილებათა კანო-
ნით განსაზღვრულ ფარგლებში
დამოუკიდებელი გადაწყვეტილე-
ბების მიღების უფლებით. ად-
გილობრივი თვითმმართველი

ერთეულის biujetis Semosu-
ლობებია საანგარიშო პერიოდში
ბიუჯეტში მიღებული ფულადი
სახსრების ერთობლიობა: შემო-
სავლები, არაფინანსური აქტი-
vebi, finansuri aqtivebi da
ვალდებულებები. მისი Semosu-
ლობები შედგება საკუთარი და
არასაკუთარი შემოსულობები-
საგან. საკუთარ შემოსულობებს
განეკუთვნება ადგილობრივი გა-
დასახადები და მოსაკრებლები,
გამოთანაბრებითი ტრანსფერი
და საქართველოს კანონმდებ-
ლობით ადგილობრივი თვითმ-
მართველი ერთეულებისათვის
განკუთვნილი სხვა შემოსულო-
ბები, ხოლო, არასაკუთარ შემო-
სულობებს განეკუთვნება socia-
ლური და მიზნობრივი ტრანსფე-
რები და საქართველოს კანონ-
მდებლობით დადგენილი სხვა
შემოსულობები.
ადგილობრივი თვითმმართ-
ველი ერთეულის biujetis გა-
დასახდელებია საანგარიშო პე-
რიოდში biujetidan გასაცემი
ფულადი სახსრების ერთობლი-
ობა: xarjebi, არაფინანსური,
ფინანსური აქტივები და ვალდე-
ბულებები. დელეგირებული უფ-
ლებამოსილებების განხორცი-
ელებისთვის განკუთვნილი გა-
დასახდელების განკარგვაზე ზე-
დამხედველობას ახორციელებს
უფლებამოსილი სახელმწიფო
ორგანო ადმინისტრაციულ ერ-
თეულში სახელმწიფო rwmune-
ბულთან კოორდინაციით.
biujetis საკასო შესრულე-
ბა ხდება სახაზინო მომსახურე-

ბის პრინციპით საბანკო დაწე-
სებულებების მეშვეობით. თვით-
მმართველობის ორგანოსთან შე-
თანხმებით სახელმწიფო ხაზინა
მათ uwevs ტექნიკურ მომსახურე-
ბას. ადგილობრივი თვითმმართვე-
ლი ერთეულების აღმასრულებე-
li organoebi uflebamosilni
არიან დამტკიცებულ ბიუჯეტში
ცვლილებების შეუტანლად გადა-
anawilon biujetiT gamoyo-
ფილი ასიგნება ერთი sabiuje-
ტო ორგანიზაციის ეკონომიკური
კლასიფიკაციის მუხლებს შორის
წლიური biujetiT ამ ორგანი-
ზაციისათვის დამტკიცებული
ასიგნების 10%-ის ფარგლებში.
biujetis შესრულების ანგარიშ-
ში აუცილებლად უნდა აისახოს
შემოსულობების შესრულება სა-
ხეობების მიხედვით, დაგეგმილ-
თან შედარებით მეტობის ან ნაკ-
ლებობის მითითებით, სარეზერვო
ფონდის წარმომადგენლობითი
ორგანოს დებულება. შესრულე-
ბის ანგარიშიდან გამომდინარე,
წარმომადგენლობითი ორგანოს
დებულებით დადგენილი წესით
sajarod ixilavs da afasebs
biujetis შესრულებას, Seimu-
შავებს რეკომენდაციებს ახალი
sabiujeto წლისათვის. ადგი-
ლობრივი თვითმმართველი ერ-
თეულის biujetis auditoru-
ლი დასკვნა და შესრულების ან-
გარიში ეგზავნება საქართველოს
კონტროლის პალატას. იგი წარ-
მოადგენს საჯარო ინფორმაციას
და დადგენილი წესით ხელმისაწ-
ვდომია საზოგადოებისათვის.
2008 წლიდან თვითმმართ-

თეა ხორგუაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური
doqtori,
გორის უნივერსიტეტის,
asocirebuli profesori

თვითმმართველი ერთეულების

sabiujeto სისტემა

თვითმმართველი ერთეულების biujetebi ქვეყნის საბიუ-ჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილია და იგი განისაზღვრება კანონით `ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის biuje-ტის შესახებ~, რომელიც არეგულირებს ადგილობრივი თვითმ-მართველი ერთეულის biujetis მომზადების, განხილვის, დამ-ტკიცების, შესრულების, აუდიტის, ზედამხედველობის, ანგარიშ-გების, შეფასებისა და კონტროლის წესს, აგრეთვე ადგილობ-რივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმას-რულებელი ორგანოების sabiujeto უფლებამოსილებებს.

ველი ერთეულები გადავიდნენ სახაზინო მომსახურებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ხარჯის გაწევა ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობის მიერ აღებული და დამოწმებული ვალდებულებების დადგენილი წესის შესასრულებლად. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღების ხარჯების გაწევის პროგრესული წესი რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით, რომლის მიხედვითაც, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღება და ხარჯების გაწევა ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობის წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. **ორგანიზაცია ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯების გასაწევად საფინანსო ორგანოში წარადგენს დოკუმენტაციას შემდეგი რიგითობით: ვალდებულების დოკუმენტი, საგადახდო მოთხოვნა, წინასწარი გადახდის დამოწმება** (წინასწარი გადახდის შემთხვევაში). **წინასწარი გადახდა შესაძლებელია მივლინების ხარჯებზე, ასევე თუ წინასწარი გადახდა გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.** დამოწმების დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საფინანსო ორგანო შეაჩერებს იმავე ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით ახალი ვალდებულების აღებას და დამოწმების დოკუმენტის დროულად წარმოუდგენლობის შესახებ ყოველთვიურად აცნობებს შესაბამის მაკონტროლებელ ორგანოებს.

ვალდებულების, საგადახდო მოთხოვნისა და დამოწმების დოკუმენტებში შეტანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციას. საფინანსო ორგანო განიხილავს საბიუჯეტო ორგანიზაციისგან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას და არეგისტრირებს მას ბიუჯეტის საინფორმაციო ბაზაში. საფინანსო ორგანოები ძირითადად ოთხ მოდულში მუშაობენ: **გეგმების მოდულში, ვალდებულებების მოდულში, საგადახდო მოთხოვნების მოდულში და ადმინისტრატორის მოდულში. გეგმების მოდული** საშუალებას აძლევს მომხმარებელს ჩაატაროს სისტემაში არსებულ კლასიფიკატორებზე სხვა და სხვა მოქმედებები, რედაქტირება გაუკეთოს ან დაამატოს ახალი ორგანიზაცია, მოამზადოს გეგმები ორგანიზაციებზე თვეებისა და ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. **ვალდებულებების მოდული** საშუალებას აძლევს მომხმარებელს შეიყვანოს სისტემაში ვალდებულების დოკუმენტი, რედაქტირება გაუკეთოს, ან დაამატოს ახალი ჩანაწერი მიმღების ცნობარში, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უკვე დარეგისტრირებულ ვალდებულებებზე. **საგადახდო მოთხოვნების მოდულის სისტემა** საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაარეგისტრიროს ახალი საგადახდო მოთხოვნა, დაათვალიეროს ყოველი საბიუჯეტო ორგანიზაციის პირადი ბარათი, დაათვალიეროს სისტემაში არსებული ნებისმიერი საგადახდო მოთხოვნა, ანულირება გაუკეთოს რეგისტრაციაში მყოფ საგადახდო მოთხოვნას. **ადმინისტრირების მოდული** კი საშუალებას აძლევს მომხმარებელს გახსნას ახალი მომხმარებელი, მიანიჭოს მათ შესაბამისი უფლებები, შეცვალოს და წაშალოს არსებული მომხმარებლები, დაათვალიეროს სისტემაში არსებული ნებისმიერი საგადახდო მოთხოვნა, ანულირება გაუკეთოს რეგისტრაციაში მყოფ საგადახდო მოთხოვნას. ყოველივე ამის შემდეგ კი მომსახურე საფინანსო ორგანო დარეგისტრირებულ საგადახდო მოთხოვნების საფუძველზე აყალიბებს საგადახდო დავალებებს და გასანაღდებლად გზავნის მომსახურე საბანკო დაწესებულებაში. ყოველივე ეს კი საბიუჯეტო პროცესის ყოველ ეტაპს გამჭვირვალე ხასიათს შესძენს.

ANNOTATION

INTEGRED BUDGETARY ACCOUNT SUSTEM OF SELF GOVERNING UNITS

TEA KHORGUASHVILI, Doctor of Ekonomics,
Associate Professor of Gori University

Budjets of self governing units are the parf of the Bugjet and keep principles of unitu, transparencu, accountability, indepepndencu and of budgetes system.The assence and imrtance of budgets of autonomus republics and self governing units are conditioned bu aconimic and fiscal budget politics of automous republics and self governing units which is the unity created bu lefislafive and execufile bodies for realization their functions and taeks what are manifested into mobilization of budget incomes.

Sinee 2008 self governing have over to treasury service whet means that ruling of budget exences of organizations, which are under submission of self governing units, are carried auf accor fing to principles of treasure service. With all ansuring, each stage of budget will be intergrated in one sustem and necessaru time for operations will be reducel till minimum amd the main fhing is that process will be transrarent.